

რედაქცია: სოლოლოვზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дробица“.

გაზეთის ღირებულება: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვის—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

ფრთხილი

სომეხი დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: დღეობით—ახლაზე—1 კაპ.; დასაწყისად სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცხროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

ბამოღის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლის მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газету „Дробица“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვისის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი აპრილიდან წლის დამდეგამდე 6 (ექვსი) მან.

შული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი

ფელტონი

უცნაური თხა და საბრალო სარბა

ძლივს ვნახეთ და გავიგონეთ ეს კომიკური ტრადედია, რომლის ამბავმა შესძრა მთელი ებრაელთ ტომი მაწანწალა ურიადგან და იეშაკ დავითიღგან დაწყობილი ვიდრე მილიონერების მეფეთ—მეფე—იერუსალიმის—ბარონ როდშილდამდე...

მითქმის ცხრა დღე და ღამე მოუწინდნენ ამის წარმოდგენასა.

ზალა სავსე იყო ხალხითა, ბილეთი აღარ იშოვებოდა.

რამდენი სასაცილო, სასირცხო და სამწუხარო რამე ვნახეთ და მოვისმინეთ!

რამდენი ადამიანის სული შეწუხებულა; რამდენი თხა და ყმაწვილი სიგძესიგანით გაზომილა; რამდენჯერ საბრალო სარბას გვაში საფლავიღგან ამოთხრილა, დაჭრილა და დაკუნწულა; რამდენი ექიმის მიუყიდელი პაციონება და შეუცდომელი მკურნალობა აღმოჩენილა შესარდგენად ამ სამწუხარო ტრადედისა სარბას მოტყუებულად, მის ტანჯულ სიკვდილზედ და ებრაელების სიმ-

ხელის-მოწერა

გაპირებულ მოგზაურობათათვის სია მეშვიდე

ახალციხიდან, ქართულ რუსულის სპექტაკლიდან შემოსული 149—მან.

პდრინდელი — — — 440 — 5
სულ რედაქციაში არის — 589 — 5

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 19 მარტს. დიდი მთავარი ტანტის შემკვიდრე დღეს მობრუნდა ტურსკის გუბერნიიდან, სადაც ფელდმარშლის თ. ბარიათინსკის დასაფლავებაზე დაესწრო.

ბუშინ მოვიდა აქ გრაფ ლორის-მელიქოვის დეპეშა, რომ რაც დასაწვავი და ნაავათმყოფარი სახლები იყო მეტლიანკაში, სუყველა დაწვეითო.

ვინა, 20 მარტს. შილიპოპოლის

ხალხთა-შორისი კამისიამ გაათავა აქ თავის საქმე და ახლა სტამბოლში მიდის აღმოსავლეთ რუმელიის სტატუტის გადასახედავად.

ტაშკანტი, 19 მარტს. ამბობენ, ვითომც იაკუბ-ხანმა გამოაცხადა, რომ, სანამ უკანასკნელი ლონის-ძიება მექმნება, სანამ არ შეუჩრდილები ინგლისელებსაო.

პეტერბურლის ბირჟა, 20 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—75
მეორე — — — —	96—25
მესამესი — — — —	96—
მეოთხესი — — — —	96—12
აღმოსავლეთის პირ. —	93—50
აღმოსავლეთის მეორე —	93—37
რუკრა, 1/2 იმპერიალი —	8—40
მთელი თავად-ანნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94 50
შინაგანი 5%, სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	237—50
მეორე სესხის — — —	233—

ვილის ხმას და კენესას ემზგავსებოდა! და ესრედ, ამა და ამა პირსა-ზედა დაიწერა სისხლის მეღნითა ეს სატირელი და სასაცილო ამბავი, რომელიც გადართარგმნება მალე სხვა-და-სხვა ენებზედა, რათა ეღირსოს მისი წაკითხვა მთელს განათლებულ ქვეყანასა.

და შეიტყობს ეს ქვეყანა, რომ ჩვენს გვეოლია კაცური კაცები, მუდამ ფხიზელი და მარდი პოლიციის ჩინოვნიკები, გულთა-მხილავი გამოძიებლები, პროკურორები და მსაჯულები, მეცნიერი და შეუცდომელი ექიმები, საწყალი კაცის უსასყიდლოდ დამცველი ადვოკატები; შეიტყობს ქვეყანა, რომ ჩვენში დიდი პატივი და რწმუნება ჰქონია წმიდა სახარებაზედ და ჯვარცმავედ დაფიცებასა, და რომ შორაპნის მახრამი არსად არ გვეოლია არც ერთი ცრუ მოწამე, არა თუ ნაფიცარი, არამედ უფიცარიც...

ბევრს, ბევრს ამბავს სამასხაროს და სამწუხაროს შეიტყობს განათლებული ქვეყანა ამ საქმიდანა და კიდევ უფრო ბევრს რამეს შეიტყობდა, რომ სულს დაწერილიყო, რაც კი იყო თქმული და ნაწარმოები.

— თბილისი: სპილოს ქუჩის 23-37 კენსი

ლონდონი	—	23—37	კენსი
ამსტერდამი	—	—	„სენტი
ბერლინი	—	—	200
პარიზი	—	—	246
ბავკასიის კერასინი	—	—	—

საქართველო

დღიური

* * * ახალციხიდანვე გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართულ-რუსულ სცენის მოყვარეთ შობულეთლების სასარგებლოდ წარმოადგენიათ: „Свадьба Крепичинского“ და „აკაკის ვოდველი“ — „ბუტიაობა“. მრევ პიესა, ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ჩინებულად, ნიჭიერად წარმოადგენიათ მოთამაშეებს; „ბუტიაობის“ წარმოდგენის დროს მყურებლები ისეთის გულ-მოდგინებით ხარხარობდნენ, რომ ხანდისხან მოთამაშეების ხმაც კი არ ისმოდა.

მსვე კორრესპონდენტი გვწერს, რომ, სპექტაკლიდან შემოსულ ფულს გარდა, ხელის-მოწერითაც აგროებენ ჩვენს ქალაქში ფულს შობულეთლებისთვის.

* * * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში პეტერბურგიდან წერილი, რომლითაც გვაცნობენ, რომ იმ ქართულ წარმოდგენიდან, რომელიც აქ იყო ამას წინათ „მხატვრების ძღუბში“ გამართულიო, ათას მანეთზე მეტი შემოვიდა კავკასიელ სტუდენტების კასის სასარგებლოთა.

— თხა იყო თუ სარა? —

აი ეს საშინელი დაკითხვა, რომლის პასუხზედაც იყო დამოკიდებული ცხრა ებრაელთ კაცის ბედი და მრთელი ებრაელთ ტომის მოსვენებული ცხოვრება.

პეტერბურდის და მოსკოვის ურიებს რომ შეუტყვიან ამ საქმის გარემოება, შეფიქრებულან: — გაი თუ მუთაისის აღვოკატებმა ლოლუამ და შიქოძემ ვერ მოახერხონ დამტკიცებო, რომ თხას ძალიან უყვარს მგზავრობაში სიმღერაო, მეტადრე მწუხარე ხმითა ებრაულ მელოდებინაო და რომ მისი სიმღერა ძალიან ემზავსება ექვსი წლის ქალის კენესასო; და მასთანვე ისიც შეუტყვიან იმათ, რომ მოსებ მოდებამე პერევისის უნივერსიტეტში კურს დასრულებული და ძალიან ნასწავლი კანონის მკოდნე იურისტი ჰყოფილაო; და უთქვიან: „სიფრთხილეს თავი არ სტკივიაო!“ და ამ პაზრით გამოუგზავნიან ამათ თავიანთი მერჯულეების დასაცველად სახელოვანი პლექსანდროვი და ნიჭიერი ტუპერნიკი, რათა ეს ორნი დაშდგარიყვნენ პროკურორის მოპირდაპირედ, ხოლო ლოლუას და შიქოძეს პასუხის გაცნათ მოსებ მოდებამის იურიდიკულ მოგვერდებზედა და აკადემიურ ფანდებზედა.

იქიდანვე გვაცნობენ, რომ ეს წარმოდგენა ისე მოეწონათ აქაურებს, რომ განმეორება ითხოვეს და ამის გამო მარტის 20-ს უნდა იქნეს ხელ-მეორედ ამავე „ბაყრის“ წარმოდგენაო.

თეატრი

„გეო, მინას და კამპანი“

სამ-მოქმედებიანი კომედია, გადმოკეთებული ფრანკო-რუსულიდან თ. დ. მ. მრისთვისაგან და

კომო. სხვა-რიგი სიჰვარული

მრთ-მოქმ. ვოდველი თ. ივ. ბარათაშვილისა.

ზემოხსენებული პიესები ითამაშეს გუშინწინ, 21 მარტს, ჩვენი სცენის მოყვარებებმა აღრინდელ მუზიკალურ საზოგადოების ზალაში. მს ვრცელი ზალა, როგორც ჩვეულებრივად ყოველი ქართული წარმოდგენის დროს ამ უკანასკნელ წელიწადებში, სავსე იყო ხალხითა; მყურებლების სიმრავლეს, უეჭველია, წარმოდგენის კეთილი მიზანდღეობა. გაჭირებულ შობულეთლებსათვის იყო შემოსავალი დანიშნული; ზოგიერთები იქნება იმისთვისაც მოვიდნენ, რომ ენახათ ბორის განთქმული მოთამაშე — ბაბუნის ქალი, — რომელიც პირველად გამოდიოდა სცენაზე.

„გეო, მინას და კამპ.“ ჭარბია, მასხარობა და არა ნამდვილი კომედია. პირველი და უმთავრესი ნაკლულევაანება ამის ის არის, რომ სამ-მოქმედებიანი.

დაიწყეს წარმოდგენა და ამ წარმოდგენაში იყო ერთი საშინელი და სასიციხო ბრძოლა.

იბრძოდნენ ჯვარცმითა და სახარებითა, უმეცრებითა და მეცნიერებით, ფულით სავსე პარკებითა და ცარიელ ჯიბეებითა, სარხას უმანკო სისხლითა და თხის სამასხარო სიმღერითა; იყო ერთი ვაგა, სიცილი, შეწუხება, მასხარობა, ტანჯვა, კენესა... ძომელია ებრძოდა ტრალედიასა... სახელოვანი და უსახელო სარდლები ებრძოდნენ პროკურორსა და მოდებამსა.

დიდი მოწაწილეობა მიიღეს ექიმებმა ამ ბრძოლაში და დიდი შეუცდომელობა და უანჯარობა გამოიჩინეს მათ თავიანთ ექიმობის მეცნიერებაშიდა.

შეიმი ბერნო ამტკიცებდა, რომ სარა წყალში არის დამღვრვილიო და აი რით ამტკიცებდა ამას: ათი დღის მკვლარი სარრა რომ ამოვიღე საფლავიდანაო, პირში ჰქონდა მას ქაფიო, ხელ-ფეხზედა და ეგრეთვე ფრჩხილებში ჰქონდა მას ქვიშა და წერილი კენკებიო; ერთი თვალი ჰქონდა მას დახუჭული და მეორე ნახევრათ გაღებულიო; და რომ ეს ამკარი ნიშნებიაო წყლით დაღრიობისაო ამაში მემოწმებთან მეო საფრანგეთის მეცნიერი პროფესორი ტარდიერ და პერევისის პროფესორი შილიმონა მიქაძეო!

მრთი მოქმედება ანუ ბევრი ორი სრულიად საკმაო იყო იმის წარმოსადგენად, რასაც ეს პიესა შეიცავს.

„გეო, მინას და კამპანი“ არ არის არავითარი აზრი. არის მხოლოდ მასხარობა სიტყვები და სასაცილო მდგომარეობა მოქმედ პიერებისა. ამიტომაც სამს მოქმედებაზე ვაჭანა ამ მასხარობისა ძალიან უძნელდება მოთამაშეებს და თითქმის მაყურებლებსაც თავს აბეზრებს.

მს ნაკლულევაანება პიესისა არ შეიძინევა მაყურებლებისაგან, თუ კარგი მოთამაშეები არიან და თუ განსაკუთრებით ამ მოთამაშეებმა კარგათ, ძალიან კარგათ იციან თავიანთი როლები.

საუბედუროთ, ამ შემთხვევაში (როგორც საზოგადოთ თითქმის ყოველთვის) უმთავრესმა და საუკეთესო მოთამაშემ უფ. ბ. შიფინმა (გეო) თავის როლი ხეირიანად არ იცოდა და ეს ხანდისხან აბრკოლებდა პიესის ცხოვლად, მარღათ თამაშს; ამიტომაც ზოგიერთი მართლა სასაცილო მდგომარეობა და სიტყვები მაყურებლებისაგან შეუნიშნავდ დაიჭრებნენ.

საზოგადოთ წარმოდგენა მაინც კარგათ წავიდა. ბ. შიფინი თავისებურად ოსტატობით და შეფერებელის კომიზმით ასრულებდა თავის როლს.

უფ. საგარელს (მინას) უეჭველი ნიჭი აქვს; იმის თამაშში არ ეტყობა ვარდამეტება, ჭარბი და სურვილი, რომ „რაიოს“ მოეწონოს; თამაშობს უბრალოთ, მაგრამ სწორეთ ისე, როგორც იმის როლს შეფერება. თითქმის შეუცდომელად შეგვიძლია ვსტკვათ, რომ უფ. საგარელისაგან ჩინებული, დახე-

მუთაისის ლუბერნიის ექიმბაშმა ლულბინსკიმ გამოაცხადა, რომ ექიმი ბერნო ძალიან შემცდარიოთ თავის ექიმობის მეცნიერებაშიო და ამტკიცებდა, რომ სარრა სრულიად წყლით არ არის დახეობილიო, არამედ არის მკვლარი სხვა რაიმეთიო და თან მედიკურ და ხირურგიულ კანონებითა ახსნა, რომ არას გზით არც ის მოხერხდებოდა, რომ იმ საბრალო სარხას სულ არ დალურჯებოდა ტანიო და შეჩინებოდა მას კიდევ სულიო თუთხმეტი ვერსი ხურჯინით რომ წაყვანათო, თუ გინდ იმ ხურჯინში სულ ბამბებში რომ გამოეხეათო.

როდესაც ძალაქის მთავარ ექიმებისთვის მოუხსენებიათ ეს ამბავი და უკითხიათ იმათთვის, რომელი უფრო შეუცდომელი არის სარხას სიკვდილის ახსნაშიო, ბერნო თუ ლულბინსკიო, ქალაქის ექიმებს უპასუხიათ: „მფიცამთ დაბადებამაო, რომ ორივენი მართალნი არიანო!“

აი, ბატონებო, მეცნიერება და პატრიონება თუ გნებავთ ეს არის!

და შეიტყობს ქვეყანა ამასაც და გინიცის განათლებულ მერაპასაც კი შეეშურდეს, რომ ამისთანა მფარველი ანგელოზები, ამისთანა მეცნიერი მკურნალები გვადგანან თგზნდა გასაგრძელებლად ჩვენის საცოდავი სიცოცხლისა!



ლორელები და ჭკვიანი აქტიორი გა-
მოვა; თუ კი ეცდება, თუ მოინდობებს.
ამ ორს პირზედ არის დამყარებული
მთელი ეს პოეზია და ამიტომ დანარჩენ
მოთამაშეებზე თითქმის არაფრის თქმა
არა ღირს, გარდა იმისა, რომ მანცა-და-
მანც თვის როლი არაფრის არ გაუფუ-
ჭებია.

„სხვა-რიგ სიყვარულში“ მარტო
ორი პირობაა: ახალგაზდა ქვრივისა
ქალი (შაბენის ქალი) და ახალგაზდა
კაცის სანდროს (უფ. შავარდნი).
ამ პიესაში მოთამაშობის დროს უფრო
გამოჩნდა შაბუნის ქალის ნიჭის ხასიათი
და თავსება და ამიტომ აქ ვიტყვით
რამდენსამე სიტყვას ამ ახალ მოთამაშე-
ზედ.

მრთი დანახვა სცენაზე შაბუნის ქა-
ლისა საკმაოა, რომ სთქვას კაცმა, რომ
იმას ნამდვილი სცენიკური ნიჭი აქვს.
მაგრამ ნიჭზე უფრო მომეტებული, ჩვე-
ნის საზრით, იმას გამბედაობა აქვს; ერ-
თობ მომეტებული, გარდამეტებული
გამბედაობა ასე, რომ არაფრის არაფრად
აგდებს და რომ წყენინების არ შეინი-
დეს, ვიტყვად, თავხედურათ ირჯება-
მეთქი სცენაზე. პირველ გამოსვლაზე ასეა,
მერე რაღა იქნება!

რამდენათაც ამ პირველ გამოსვლაზე
შევატყვი, შაბუნის ქალს ყველაზე უკეთ
შეუძლიან ითამაშოს ანჩხლი, კაპასი,
აშაღლარა დედა-კაცის როლები, და
არა ახალგაზდა ქალისა. „თივით მოგ-
ზაურობაში“ მშვენიერად ითამაშებს
იმ დედა-კაცის როლს, რომელსაც გლე-
ხებთან ჩხუბი მოსდის ქითმის თაობაზე;
ილ. შავჭავჭავაძის „სცენებში“ თავადიშვი-
ლის ქვრივის როლს, „ძალათ ექიმში“—

ცხრა დღე იყო ბრძოლა და ბაასი!
იბრძოდნენ და ბაასობდნენ დღე და ღამე.
ბოლოს პროკურორის გული შეპოე-
ყარა, რომ თხის მწუხარე მელოდიასა
უფრო პატივი ერგო, ვიდრე სარჩას
გამწარებულ კენესასა და რომ ხურჯინში
საბრალო სარჩა ჯერ გარდაქციეს ბა-
ტებათ, მერე ქოთნებათა და ბოლოს
ორ ფოხალ ლობიოთა...

იოსებ მოდებამე ხელი აიღო ჩვენი
მეცნიერების და ადვოკატების მასწარად
აგდებისაგანა და გამოაცხადა, რომ
ფულს კი არ ვეძებდით, არამედ მსურდა
ამათი ქკუის და პატიოსნების ახლო გა-
შინჯვაო.

პროკურორის თანაშემწემ წამოიბუტ-
ბუტა, რომ ასი კაცი და ქალი ისე რო-
გორ გამოსულელებულანო, რომ თხას
სიმღერა მამწვილის კენესათ მიუღიათო!...
მსაჯულეობა!! სიმბირი, კატორგა ურიბ-
საო! ხურჯინიდან სარჩა კენესოდა და
არა თხაო!...

დაიწყო ჭიკტიკი ალექსანდროემა...
სამი საათი იჭიკტიკა და ცხადად დაგვა-
ნახვა; რომ შექოთნე საითაც უნდა, ყურს
იქით გამოაბამს ქოთანსა.

ტუბერნიკმა ბევრი იმასხარა სადგისი-
ნი სიტყვებითა... ქრისტიაწების სიმბრი-
ვეზედა...

ლოლუამაც ხმა ამოიღო; მაგრამ
რომ არაფერი ეთქვა, უფრო ემჯობინე-

თათუას როლს და სხე, ამისთანაებს,
რომლებსაც ასე ჩინებულად თამაშობდა
მლონე შიფიანისა.

ახალგაზდა ქალისა, განსაკუთრებით
კოკეტკას როლი შაბუნის ქალს სრუ-
ლებით არ შეშვენის და ძალიან კარგს
იქმს, რომ ამგვარს როლებში ის არ
გამოვიდოდეს სცენაზე.

მაგალითი თვალწინა გვაქვს: „სხვა
რიგ სიყვარულში“ იმის თამაში ბევრად
ჩამოუდგა უკან საფაროვის ქალის თა-
მაშს, რომელსაც სცენაზე მიხრა-მოხრა,
შროიანი სახე, ლაპარაკის კილო და
საზოგადოთ თამაში ერთი-ორად უკეთეს-
სი, უფრო მოხდენილი აქვს და უფრო
შესაფერი ახალგაზდა კოპია ქალისა,
ვინემ შაბუნის ქალს.

სხვა ღირსებასთან შაბუნის ქალი
კიდევ იმიტომ არის ძვირფასი ჩვენი
სცენისათვის, რომ ხმა აქვს და სიმღერა
იცის. მაგრამ აქაც პატარა რამ ნაკლუ-
ლევანება აქვს; ერთობ იმანება, გრე-
ხავს სახეს და მაღალი ნოტების აწევაზე
ჰყვირის და არა მღერის. პირველი ნაკ-
ლულევანების გასწორება ადვილია,—ეს
ჩვეისსორის საქმეა; ხოლო მეორე
გასწორდება მაშინ, როდესაც მომღერა-
ლი მაღალ ნოტებზე არ მოინდომებს
ხმის აწევას.

მრთი შენიშენაც შაბუნის ქალისათ-
ვის: როდესაც მესამეჯერ სიმღერა სთხო-
ვს და დაიწყო, უეცრად რაღაც იწყინა,
გაწყვიტა სიმღერა და გაჯულისებული
წამოხტა ადგილიდან. მოთამაშემ არ
უნდა იკადროს და არ უნდა აკადროს
პუბლიკას ამისთანა ავლები; ეს არაფრად
ჩაგდება მაყურებლებისა...
სიამოვნებით შეენიშნეთ, რომ ამ

ბოდა, და მანც მიიღებდა სრულიად,
რასაც იყვენ ურიები დაპირებულსა.

მიქოდემ მხოლოდ სამი სიტყვა სთქვა
და სამი გვირგვინი წარმოადგინა: ორი
დაფენისა, რომლითაც შეამკო ალექსანდ-
როვი და ტუბერნიკი, და ერთი ეკლისა,
რომელიც შეუბრალებლივ დაადგა თავ-
ზედა თავის მოძმე ლოლუასა...

ბრძოლა გათავდა იმითა რომ ბოლოს
სარდლები წაიკიდნენ როგორც მამლე-
ბი და გამოიხმეს თავიანთ მოსაშველებ-
ლად აჩრდილი ნაპოლეონ პირველისა
და მისი მოპირდაპირე მელონგტონისა...

ჩამოვარდა სიჩუმე... მსაჯულთა გან-
ჩინების ნიავეა განფანტა ენა-შქვერობის
და მასხარობის ღრუბლები და მოწმენ-
დილ ცის ქვეშ გამოჩნდა ბრძოლის დი-
დი მინდორი... და ამ მინდორზედ ეგდო
ექიმებისგან დაკუწული და დაგლეჯილი
საბრალო სარჩას გვამი და იქვე იყო
აღმართული მისი საფლავის ძეგლი,
რომელზედაც ეწერა:

„მსე არს მსხვერპლი მამიებლების
ბეჯითობისა და ექიმების მეცნიერებისა!“
შორს მოჩნდა სიმბირის გზა, რომ-
ლითაც ბრუნდებოდნენ ცხენოსანი ური-
ები უკანვე სახლში საჩხერისკენა; ერთს
ამ ცხენოსანსა ეკიდა დიდი ხურჯინი
და ამ ხურჯინის ერთის თვალიდგან
თხას ამოეყო თავი. და ამ თხას ეჭირა
გამარჯვების ბაიხალი და თან მხიარუ-

უკანასკნელი წარმოდგენის დროს უც-
ყობოდა, რომ მოთამაშეებს მსჯელებთ
რიგეანი რეჟისორი.

„ეოზნუიცი“ მკუთრებელი
სიბოლქუე მთონებელმასონ იმუშაობეს

მარტვილის: სიბოლქუე სიბოლქუე
სასულიერო სასწავლებელი

თიბი იბენგობ ათოიე თუთუნიმ

იენისა წარსულის წლისა იყო ურე-
ბა დეზუტატთა, რომელთაც წარედგინათ
საბუთები სახლის უვარგისობისა და მი-
ვცათ წინადადება აღუშენებინათ ახალი
სახლი პლანისამებრ, რომელიც მაშინვე
მათ ჰქონდათ ხელში და რომელიც და-
ჯდება 39,500 მანეთი, დეზუტატთა ილა-
პარაკეს, სჯეს და გადასწყვიტეს. რადგან
ესლა არეული დროა, არა ჩანს ნამდვილ
შერიგება იქმნება, თუ ომი იქმნება და ეს
ყველა დაუშლის საქმის წარმოებასაო,
ამისთვის განილვა ამა საქმისა გადაი-
დოს ამ არეული დროს გათავებამდგო.
ზადაიდო.

წელს საქმე ჰაჭაყუშმდე მიდგა. მომა-
ვალ სექტემბრიდამ სწავლა რომ დაიწ-
ყოს ისევე ამ სახლში, რომ ღარჩენ კლასე-
ბი აქვე მთელის ზამთრით,—ეს სრულე-
ბით შეუძლებელია; სახლი სრულეობით
უვარგისია და შეიძლება დაინგრას. ამას-
თან მასწავლებელთ საზოგადოთ ყველამ
შემოიტანეს განცხადება, რომ, თუ აწინ-
დელი მდგომოარება განგრძელდება, არ
შეუძლიანთ სამსახური, რადგან მათი
შრომიდამ არა გამოდის-რა. ქლასის
ქურნალში რუსული ენის მასწავლებ-
ლისა მ. 14 დეკემბრიდამ სწერია:

„უროკის დროს მოსწავლენი იყვენ
რიგეანათ. საგანი უროკისა: თარგმანი

ლად ბლოდა: თიბი იბენგობ იმუშაობეს

„სიმბირისაგან დაიხსენიო!“
ხოლო იმ ხურჯინის მეორე თვალში
რა იყო: ლობიო, ქოთანი, ბატები, თუ
საბრალო სარჩა ვერა გაიგეს-რა...

ახლა ბრძანეთ, ბატანო: მინ უშვე-
ლა ურიებსა? იქნება გგონიათ თქვენ,
რომ იმ ოთხმა ადვოკატმა, რომელიც
დაუჯდათ ურიებსა რამდენიმე ათასი
თუმანი?

—არა, ბატანებო, არა, მერწმუნეთ
არა! მისინც რომ არ ყოფილიყვენ,
მანც ურიებს გაანთავისუფლებდნენ და
გაანთავისუფლებდნენ იმ ერთი უცნაუ-
რი თხისა წყალობითა, მისი უფიცარ
ჩვენების ძალითა...

შორაპნელებო, ესლა მანც გაახილეთ
თვალეები! ამ ურიების საქმე დიდი წურ-
თნა და მაგალითია: თქვენ გაგტეხიათ
სახელი და ისე გაგტეხიათ, რომ ერთი
თხის უფიცარი ჩვენება უმფრო ამჯრ-
ბინეს, უფრო დაიჯერეს, ვიდრე თქვენი
ნაფიცო ჩვენება, თუმცა ასი ქალი და
კაცი ერთმანეთს ემოწმებოდით! აი, ასე
ძნელი ჰყოფილა სახელის გატეხა!
და ღმერთმა იწებოს, რომ ამ საბრა-
ლო სარჩას და ამ უცნაური თხის ამ-
ბავმა უნაყოფოთ არ ჩაიაროს ჩვენს
ქვეყანაში...

ადგილის ფრაზებისა ქართულის ენიდამ რუსულს ენაზე. მაგრამ კლასის ოთახში იყო ისეთი კვამლი, რომ ბოვშევებს არ შეეძლოთ სწავლა და მოსწავლეს ვერ იბოხოვდა აუცილებლივ“.

ჭურნალში მოსამზადებელის კლასის რუსული ენის მოსწავლელის ძ. 18 დეკემბერს სწერია: კლასში დისციპლინა იყო. მარამ საშინლად ციოდა. ბოვშევები თითო-თითო მთხოვდნენ დავითხოვო იგინი შინ, რადგან ფეხები და ფეხთსაცმელი სრულებით სველი აქვს და საშინლათ სცივათ; უროკის ბოლოს 70 შევირდი-დამ დარჩა 40“.

აღმსრულებელმა მოსწავლელის თანამდებობისა პირველს მოსამზადებელს კლასში დ. იმავე რიცხვს შეიტანა სასწავლებლის სამმართველოში შემდეგი განცხადება:

„კლასში კომლია, ცივა. სწავლა მიდის ძრიელ კუდათ; ქარი სისინით შემოდის ყველა მხრიდან. მითხოვ მომეცეს ნება დავითხოვო სახლში, რომელიც არიან უფრო მსუბუქად ჩაცმულნი და სრულებით გაცივდნენ.“

ასეთი სიცოცხლე და ცხოვრება აქვს მოსწავლეთაც და მოსწავლელეთაც სასწავლებელში. რაკი დადგება ზამთარი... და ესთხოვ, ვისაც სინილისი აქვს, თქვას, რომ ამისთანა წყობილებაში შეიძლება საქმის გაკეთება, შეიძლება მომავალს წელიწადსაც დარჩეს სასწავლებელი ამავე მდგომარებაში...

1-ს იყო დანიშნული ს. მარტივს კრება და მამა დეპუტატთ სხვათა შორის უნდა მოელოებოდა ახლანდელი სასწავლებლის სახლის უფარვისობაზე და აგრეთვე აღშენებაზე ახალისა იმ პლანით და სმეტით, რომელიც ჰქონდათ ხელში სამღვდლოთა წარსულს იენისის კრებაზედ.

შემეტესი ნაწილი დეპუტატთაგანი ოცდათექვსმეტადამ უკანასკნელი ოცდაათი, ცხადთა ჰხედეს, რომ მარტივში ამ სასწავლებლის დარჩენა არ შეიძლება. მარამ მაინც ვერ შესძლეს პიროვნულის სარგებლობის დავიწყება, ვერ შეხედეს სასწავლებელს საზოგადოს, როგორც საყველათ და არა საჩემ-შენო საქმეს...

(დასასრული შემდეგ №-ში)

და თექვსმეტადამ უკანასკნელი ოცდაათი, ცხადთა ჰხედეს, რომ მარტივში ამ სასწავლებლის დარჩენა არ შეიძლება. მარამ მაინც ვერ შესძლეს პიროვნულის სარგებლობის დავიწყება, ვერ შეხედეს სასწავლებელს საზოგადოს, როგორც საყველათ და არა საჩემ-შენო საქმეს...

(დასასრული შემდეგ №-ში)

განცხადება

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამბთ აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის მარტის 28-ს, იმის თანდასწრებით, შპრავეში დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) ხუთი წლის არენდით მიცემაზედ იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 600 ოთხკუთხ საყენს და რომელიც მდებარებს ქალაქის II განყოფილების მე-10 უჩასტკაში, მტკერის პირველ ჩასავალთან თ. მრისთვის სახლის პირდაპირ. სამზღვრები ამ ადგილისა: ჩრდილოეთით — შარანცივის წყლისპირა ქუჩა, აღმოსავლეთითა და სამხრეთით — მდ. მტკვარი და დასავლეთით — ისარლოვის ადგილი.

(3-1)

პეტერბურელი მკერავი გერმან

ზნოვის ქუჩაზე, იონესიანის სახლი.

პატივი მაქვს ვაცნობო თფილისის პატივეცემულ საზოგადოებას, რომ ვიღებ ყოველ გერ ზაკაზს, ჩემის საქონლითვე ვკერავ სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსს; მე თვითონ ვადევნებ თვალყურს, რომ ყველაფერი რიგიანათ იყვეს შეკერილი.

ამას გარდა ჩემს მალაზიაში არის დამზადებული კაცებისა და ქალების ტანისამოსი.

შველა გერ ზაკაზს ი ა ფ ფ ა ს ა დ და რიგიანად ვასრულებ.

(5-3)

შოთის მეორე გილდიის მაქარს, ხახუ დავითის ძე თოფურჩიძეს, პატივი აქვს გამოაცხადოს, რომ მისგან წარმოებული აღრინდელი საპამისიონერო კანტორა არ ყოფილა მოქმედებაში ომბიანობის გამო 1876 წლიდან, ვიდრე ამა მდგომარე წლამდინ.

ამა წელში ეს საპამისიონერო კანტორა ისევ ბაიხსნა შოთში ივანოვის ქუჩაზე, აღნიას სახლებში. აცნობებს ამაზედ როგორც პირველ დროების მუშტრებს, ვგრეთვე სხვა ვაჭრებსაც. კანტორა ღებულობს თავის თავზე ყოველ ნაირი საქონლების მიღებას და გაგზავნას ყოველგან რუსეთის და ბრანციისა, მასთან გრანციის საქონლების დამოქნაში დაბაყვას, ვგრეთვე ყველა ნაირი საქონლების გამოწერას რუსეთიდან და გრანციიდან.

ამას გარდა დროებით ჩამოსული შოთში ვაჭრებს აძლევს თავის კანტორაში ბინას.

(5-2)

გამოვიდა და ისპილება

„ბუბიაოვა“

ვადევმლო

აკაკი წამართლისა

ისპილება: ჩარკვიანის, შართანოვის და ბრიჭუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შვეერლოვის ზაზეთის სააგენტოში — ბუბიაოვაზე.

ქუთაისში — უფ. ძ. მესხის წიგნის მალაზიაში.

უასი — მართი აბაზი.

რძ. ზნა.	დღა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაბ.	გაზანდა	მანკაბ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ. კაბ.	მ. კაბ.	მ. ცი ხიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 22 მარტს.		მრევერს მადანზე, წინამძღვროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძაქკახისი აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვ. თფ. ზანჯისა, ფთ.	160	ავთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	3	153	როხტოვს, მდესას, მოსკოვს	2	შქვილი წითელი	130	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და ბარლევინი — შინაგ. ავათ., ძიუჩარინი — ქალის ექიმი და საშვილოანოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურს, შარავეს.	2	ბამბა მრევერისა, ფუთი.	740	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგ. პ. ბახუტოვი — საბებიო და ბავშვის. პეუნოვი — თვალის.
სურამი	1 44		4 90	2 61	მსხალეთში, შვეიცარიაში.	3	— ამერიკისა, ფუთი.	850	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშვი შინაგანი ავთმყოფობის.
შვირილა	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბამბა ფუთი.	960	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგ., ძიუჩარინი — სიფილიტიკური და ნაშარდგ ორგანების.
რიონი	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	650	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ., პ. ბახუტოვი — საბებიო, ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ზოგად		— თარაქამისა ფუთი.	420	პ ე უ ნ ო ვ ი — თვალისა.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდი. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ. — პარასკ. და ორშ. პახეთს — სამშ. და შაბ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	210	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშვი შინაგანი ავთმყოფობის.
შოთი	9 50		12 24	6 26	ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურ. გეთს — ორშ. და პარასკ.		— ცხვრისა, ლიტრა	1 8	ნ ა გ ა, ძიუჩარინი — სიფილიტიკური და ნაშარდგ ორგანების.
შოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სპირტი ვედრო	460	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ., პ. ბახუტოვი — საბებიო, ქალისა და ბავშვების.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	ლია წიგნის	4	შაქარი, ბროც. ფუთი	740	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.
სამტრედია	11 5		2 61	1 33	დაბედილის (ხამი მისხალი)	8	— ფხენილი ფუთი	560	
რიონი	12 13		3 84	1 97			ქავა გრგვალი, გირვ.	1180	
შვირილა	1 18	ლაშე.	5 3	2 56			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	7 2	
სურამი	5 12		110 7 34	3 74			თამბაქო, ხაშულო ფთ.		
ხაშური	5 39		137 7 51	3 84					
ზორი	7 5		4 89	24 4 73					
მცხეთა	8 50		6 59	11 39					
თფილისი	9 31		7 56	12 24					